შპს მზა ჩითილი (ს/კ 406187709)

ფინანსური ანგარიშგება, სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1.სრული შემოსავლების ანგარიშგება ... 3

2.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ... 4

3.ზოგადი ინფორმაცია ... 5

4.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა ... 5

4.1 ამონაგების აღიარება ... 5

4.2 ხარჯების აღიარება ... 6

4.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ... 6

4.4 მოგების გადასახადი ... 6

4.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა ... 6

4.6 ძირითადი საშუალებები ... 6

4.7 არამატერიალური აქტივები ... 7

4.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება ... 7

4.9 იჯარა ... 9

4.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ... 9

4.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ... 10

4.12 სავაჭრო ვალდებულებები ... 10

4.13 ანარიცხები ... 11

4.14 უცხოური ვალუტა ... 11

4.15 ფულადი სახსრები ... 11

4.16 ფინანსური ვალდებულებები ... 12

4.17 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩახურვა ... 12

4.18 საწესდებო კაპიტალი ... 12

4.19 დივიდენდები ... 12

4.20 საპენსიო ვალდებულებები ... 13

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები ... 13

5.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ... 13

5.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება ... 13

5.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება ... 14

6. შემოსავალი ... 14

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება ... 14

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ... 15

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ... 15

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16
11.ფული და ფულის ექვივალენტები 16
12.ძირითადი საშუალებები 16
13.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 16

1.სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	2023 წ.	2022 წ.
ნეტო ამონაგები	**310,768**	**551,180**
საქონლის გაყიდვიდან	310,768	551,180
მომსახურების გაწევიდან	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-146,326	-415,184
საერთო მოგება	**164,442**	**135,996**
დასაქმებულთა ანაზღაურება	-260,430	-205,870
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-44,629	-43,652
საპროცენტო ხარჯი	-4,127	-19,161
იჯარის ხარჯი	-2,373	-4,068
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-62,043	-60,077
სულ საოპერაციო ხარჯები	**-373,602**	**-332,828**
საოპერაციო მოგება	**-209,160**	**-196,832**
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-631	-440
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-1,587	-15,050
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	**-211,378**	**-212,322**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-2,344,750	-2,034,075
კაპიტალის გაზრდა	114,547	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-707	-61,087
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-37,266
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**-2,442,288**	**-2,344,750**

დირექტორი: ერჰან ზორლუ (პ/ნ - 01597002472)

ხელმოწერა:

1.სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	2023 წ.	2022 წ.
ნეტო ამონაგები	**310,768**	**551,180**
საქონლის გაყიდვიდან	310,768	551,180
მომსახურების გაწევიდან	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-146,326	-415,184
საერთო მოგება	**164,442**	**135,996**
დასაქმებულთა ანაზღაურება	-260,430	-205,870
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-44,629	-43,652
საპროცენტო ხარჯი	-4,127	-19,161
იჯარის ხარჯი	-2,373	-4,068
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-62,043	-60,077
სულ საოპერაციო ხარჯები	**-373,602**	**-332,828**
საოპერაციო მოგება	**-209,160**	**-196,832**
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-631	-440
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-1,587	-15,050
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	**-211,378**	**-212,322**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-2,344,750	-2,034,075
კაპიტალის გაზრდა	114,547	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-707	-61,087
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-37,266
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**-2,442,288**	**-2,344,750**

დირექტორი: ერჰან ზორლუ (პ/ნ - 01597002472)

ხელმოწერა:

2.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	2023 წ.	2022 წ.	2021 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,183	1,343	4,290
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	60,067	57,126	62,983
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7,739	349	260
მარაგები	**272,829**	**179,914**	**278,911**
მზა პროდუქცია	21,159	20,344	37,636
სხვა	251,670	159,570	241,275
სხვა მოკლევადიანი აქტივები	38,894	56,658	10,923
სხვა არამატერიალური აქტივები	2,255	2,255	2,255
ძირითადი საშუალებები	1,515,897	1,507,208	1,585,807
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	20,401	23,589
სულ აქტივები	**1,903,864**	**1,825,254**	**1,969,018**
სავაჭრო ვალდებულებები	982,609	864,234	860,859
გამოუმუშავებელი შემოსავალი	20,788	4,288	53,889
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	680,912	681,170	681,170
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,655,821	2,616,875	2,407,175
სხვა ვალდებულებები	6,022	3,437	0
სულ ვალდებულებები	**4,346,152**	**4,170,004**	**4,003,093**
კაპიტალი	114,547	0	37,266
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2,556,835	-2,344,750	-2,071,619
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	278
სულ საკუთარი კაპიტალი	**-2,442,288**	**-2,344,750**	**-2,034,075**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1,903,864**	**1,825,254**	**1,969,018**

დირექტორი: ერჰან ზორლუ (პ/ნ - 01597002472)

ხელმოწერა:

2.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	2023 წ.	2022 წ.	2021 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,183	1,343	4,290
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	60,067	57,126	62,983
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7,739	349	260
მარაგები	**272,829**	**179,914**	**278,911**
მზა პროდუქცია	21,159	20,344	37,636
სხვა	251,670	159,570	241,275
სხვა მოკლევადიანი აქტივები	38,894	56,658	10,923
სხვა არამატერიალური აქტივები	2,255	2,255	2,255
ძირითადი საშუალებები	1,515,897	1,507,208	1,585,807
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	20,401	23,589
სულ აქტივები	**1,903,864**	**1,825,254**	**1,969,018**
სავაჭრო ვალდებულებები	982,609	864,234	860,859
გამოუმუშავებელი შემოსავალი	20,788	4,288	53,889
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	680,912	681,170	681,170
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,655,821	2,616,875	2,407,175
სხვა ვალდებულებები	6,022	3,437	0
სულ ვალდებულებები	**4,346,152**	**4,170,004**	**4,003,093**
კაპიტალი	114,547	0	37,266
დაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2,556,835	-2,344,750	-2,071,619
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	278
სულ საკუთარი კაპიტალი	**-2,442,288**	**-2,344,750**	**-2,034,075**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1,903,864**	**1,825,254**	**1,969,018**

დირექტორი: ერჰან ზორლუ (პ/ნ - 01597002472)

ხელმოწერა:

3.ზოგადი ინფორმაცია

შპს „მზა ჩითილი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი, III მ/რ, კორ. 305ა, ბ. №31. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა რკინა-კავეულით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით, შერეული სოფლის მეურნეობა და ნერგებისა და ჩითილების წარმოება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი და 50 %-იანი წილის მფლობელია ფ/პ - ერჰან ზორლუ, პ/ნ 35930192068, U 03545260, 01597002472 /თურქეთი/, ხოლო 50%-იანი წილის მფლობელია მუზაფერ ზორლუ, პ/ნ 35936191850 /თურქეთი.

4.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების თანხის და მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი გადასახადების გამოკლებით.

როდესაც წარმოიქმნება განუსაზღვრელობა თუ რამდენად ამოღებადია უკვე ამონაგებად აღიარებული თანხა, მაშინ ის თანხა, რომლის ამოღებაც შეუძლებელია ან რომლისთვისაც ანაზღაურების მიღება მოსალოდნელი აღარ არის, თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირების ნაცვლად აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება ეს განუსაზღვრელობა.

4.2 ხარჯების აღიარება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირების საშიშროება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების გაზრდასთან და რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

4.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

4.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

4.6 ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად კომპანია აღიარებს ისეთ მატერიალურ აქტივს, რომელიც იმყოფება კომპანიის საკუთრებაში, უშუალოდ გამოიყენება საქონლის წარმოებაში ან/და საქონლის/მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან

ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო წელზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა. თვითღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და ყველა დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე ყველა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთით დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

4.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

4.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე

ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსი-რება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვე-ვაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებუ-ლი სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

4.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით

გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

4.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსასაზღვრად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ჯგუფურად განსაზღვრისთვის, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს.

4.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

4.13 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

4.14 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე

4.15 ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების მუხლში შედის ფულადი სახსრები კომპანიის სალაროში, ფულადი სახსრები განთავსებული ორგანიზაციის მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

4.16 ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებების" კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

4.17 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩახურვას მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

4.18 საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

4.19 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და

შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4.20 საპენსიო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს დაქირავებულ თანამშრომელთა დამატებითი საპენსიო პროგრამები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპენსიო ვალდებულებებისა, დამატებითი საპენსიო ანაზღაურება და/ან სხვა მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც მოითხოვს დამატებით დარიცხვას.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

5.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია საკუთარი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

5.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. შეფასებისთვის კომპანიას ესაჭიროება ჩამოაყალიბოს მსჯელობა გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით, რომელიც უკავშირდება მოცემულ აქტივებთან დაკავშირებულ მომავალ შემოსავლებსა და ხარჯებს. თავის მხრივ, ეს პროგნოზები განუსაზღვრელია, რადგან იგი მოითხოვს

დაშვებებს პროდუქციის მოთხოვნისა და სამომავლო ბაზრის შესახებ. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურანგარიშგებაში.

6. შემოსავალი

ამონაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	310,768	551,180
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან	0	0
სულ	**310,768**	**551,180**

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	146,326	415,184
სულ	**146,326**	**415,184**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	6184
რეკლამის ხარჯები	7913
მიწოდების სხვა ხარჯები	831
კომუნიკაციის ხარჯები	2900
კომუნალური ხარჯები	21469
დაზღვევა	2046
მიმდინარე შეკეთების ხარჯი	4741
კომპიუტერის ხარჯები	127
საკონსულტაციო ხარჯები	7203
სხვა საგადასახადო ხარჯი	271
საბანკო მომსახურება	1003
სხვა საერთო ხარჯი	7355
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**62,043**

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	**2022**
საქონელი	39,891	51,908
მზა პროდუქცია	21,159	20,344
ნედლეული და მასალები	140,704	107,140
დაუმთავრებელი წარმოება	366	522
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა	70709	0
სულ	**272,829**	**179,914**

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	60,067	57,126
გადახდილი ავანსები	7,739	349
საგადასახადო აქტივი	38,894	56,658
სულ	**106,700**	**114,133**

11.ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ფული სალაროში	145	265
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6,038	1,078
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	0	0
სულ	**6,183**	**1,343**

12.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	982,609	864,234
მიღებული ავანსები	20,788	4,288
სულ	**1,003,397**	**868,522**